

## ბხსუ-ში პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი

(31.07.2020, №05-01/02)

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი (31.07.2020, №05-01/02)

1. ბხსუ-ში პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი (შემდეგში „წესი“) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდეგში - „უნივერსიტეტი“/„ბხსუ“) პლაგიატის პრევენციის პოლიტიკას, მექანიზმებს, დარღვევის სახეებს და მასზე რეაგირების პროცედურას და სანქციებს.
2. წესი ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალზე (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულზე), სტუდენტებზე და მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებზე (შემდეგში „სტუდენტები“).
3. წესის შემუშავების მიზანია ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, ამ კვლევების შედეგების (ნაშრომი, სტატია, წიგნი, პროექტი ან სხვა პროდუქტი) გავრცელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობითა და ბხსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ეთიკური ნორმების და სტანდარტების აღიარება და დაცვა.
4. წესი არ შეიცავს აკადემიური ეთიკის, კეთილსინდისიერების დარღვევის ყველა შემთხვევის აღწერილობას (პლაგიატის ყველა შესაძლო ფორმას/სახეს), თუმცა მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ პირებს მიაწოდოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები.

### მუხლი 2. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები უნივერსიტეტში

(31.07.2020, №05-01/02)

აკადემიური ეთიკის დარღვევად მიიჩნევა:

- ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;
- ბ) პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობით; ავტორების ან წყაროების მითითებისას გარკვეული სახის ინფორმაციის გამორჩენა ან არევა;
- გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების იმგვარი

გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;

დ) თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ არაერთხელ წარდგენა/გამოქვეყნება ციტირების ან შესაბამისი მითითების გარეშე (მაგალითად: სხვადასხვა პუბლიკაციებში ერთი და იგივე თავების გამეორება შესაბამისი მითითების გარეშე); სტუდენტების მიერ ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა მიზნებისთვის (სხვადასხვა კურსის, სხვადასხვა პროგრამის, პროექტის, კონკურსის ფარგლებში);

ე) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

ვ) საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე; სხვის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ნამუშევრის ასლის შესრულება/გადატანა საავტორო უფლებების დაცვის, ავტორის მითითებისა და ნებართვის გარეშე;

ზ) გამოუქვეყნებელი მასალის (ნაშრომი, შემოქმედებითი ნამუშევარი/პროექტი, სალექციო კურსი და სხვა) გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.

### **მუხლი 2<sup>1</sup>. პლაგიატის, აკადემიური ეთიკის/ კეთილსინდისიერების დარღვევის კატეგორიები (31.07.2020, №05-01/02)**

1. წინამდებარე წესში პლაგიატის სახეები, მათი სიმძიმის თვალსაზრისით, შესაძლებელია შეფასდეს დარღვევის შემდეგ კატეგორიებად:

- ა) მსუბუქი სიმძიმის (ნაკლები) დარღვევა;
- ბ) საშუალო სიმძიმის (მნიშვნელოვანიწილი) დარღვევა;
- გ) მძიმე ( უხეში) დარღვევა.

### **მუხლი 3. პლაგიატის პრევენცია**

პლაგიატის პრევენცია მოიცავს რამდენიმე ასპექტს:

- ა) სტუდენტის თვითშეგნების ამაღლება აკადემიური წერის სასწავლო კურსის ფარგლებში;
- ბ) პერსონალის ვალდებულება შეიმუშაოს და დანერგოს სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რაც გამორიცხავს პლაგიატს;
- გ) საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა პლაგიატის თემაზე;

დ) საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება პლაგიატის შესახებ;

ე) პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების შესახებ ინფორმაციული კამპანიის წარმოება;

ვ) ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელმა სტუდენტს უნდა აუხსნას წყაროებთან მუშაობის, სხვისი ციტატების/მონაცემების/გამოსახულებების/სხვ. გამოყენების და ნაშრომში ასახვის წესები, განუმარტოს აკადემიური ეთიკის არსი, შესრულების მნიშვნელობა და მათი დარღვევისათვის დაწესებული სანქციები;

ზ) სტუდენტის ინფორმირება იმის შესახებ, რომ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს ნაშრომის ავტორის წერილობითი დადასტურება ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, კერძოდ, რომ ნაშრომი შესრულებულია მის მიერ, წარმოადგენს მის ორიგინალურ ნამუშევარს და არ გამოყენებია მითითებულის გარდა სხვა ლიტერატურა;

თ) პლაგიატის პრევენციისა და სტუდენტებისა და პერსონალისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით უნივერსიტეტის ვებგვერდზე ([www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge)) წინამდებარე წესის განთავსება. (31.07.2020, №05-01/02)

#### **მუხლი 4. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები**

1. სტუდენტის შემთხვევაში სასწავლო კურსის ლექტორი ვალდებულია შეამოწმოს ნაწერი სილაბუსით გათვალისწინებულ ძირითად ლიტერატურასთან და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

2. ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი ვალდებულია ნაშრომი გადაამოწმოს შემდეგი მიმართულებებით:

ა) ნაშრომის სქოლიოში მითითებული ლიტერატურის შედარება ნაშრომის თავებთან/პარაგრაფებთან/აბზაცებთან;

ბ) თემასთან დაკავშირებით არსებულ ძირითად ლიტერატურასთან, რომელიც არ არის მითითებული სქოლიოში.

3. ბხსუ-ში საბაკალავრო, სამაგისტრო, საკონფერენციო, პროექტი ან სხვა ფორმის სამეცნიერო ნაშრომებში პლაგიატის გამოვლენის მექანიზმს წარმოადგენს ანტიპლაგიატის პროგრამა „URKUND“-ი, რომელიც ინტეგრირებულია „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“ პლატფორმაზე. (31.07.2020, №05-01/02)

4. ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმებას ექვემდებარება: თეორიული მიმართულების საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომები; პროექტი/რეფერატი/თემატური ტური, საშემსრულებლო საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა ტიპის ნაშრომთა თეორიული კომპონენტები ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. (31.07.2020, №05-01/02)

5. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის, პროექტის „URKUND“-ი სისტემაში ატვირთვა განხორციელდეს არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა ანტიპლაგიატის პროგრამის მოთხოვნების დადგენილი ფაილის ფორმატის, შრიფტის („Sylfaen“) გათვალისწინებით. ანტიპლაგიატის პროგრამის (URKUND) ოპერატორთან გადაგზავნისა და შემოწმების შედეგების ხელმძღვანელისათვის გაცნობას კოორდინირებას უწევს სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების უფროსი. **(31.07.2020, №05-01/02)**

6. „URKUND“ სისტემიდან მიღებული შედეგების საფუძველზე ნაშრომის პირველადი შემოწმება/რედაქტირება განხორციელდეს ხელმძღვანელის მიერ არაუგვიანეს მე-16 სასწავლო კვირისა. **(31.07.2020, №05-01/02)**

7. საბაკალავრო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა - საშუალო სიმძიმის პლაგიატი) შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს „URKUND“-ის სისტემაში არა უგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი თანხვედრის (უხეში პლაგიატის) ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 40%-ზე მეტი თანხვედრის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება „0“ ქულით (F – ჩაიჭრა). **(31.07.2020, №05-01/02)**

8. სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შედეგად ამზადებს დასკვნას არაუგვიანეს მე-18 სასწავლო კვირისა. **(31.07.2020, №05-01/02)**

9. დარგობრივ დეპარტამენტში სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე (აპრობაციაზე) დაშვების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა, „URKUND“-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც ანტიპლაგიატის პროგრამით, ასევე სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. ნაშრომის პირველადი შემოწმება განხორციელდეს არაუგვიანეს მე-16 სასწავლო კვირისა. **(31.07.2020, №05-01/02)**

10. სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა - საშუალო სიმძიმის პლაგიატი) შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს „URKUND“-ის პლატფორმაზე არა უგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი თანხვედრის (უხეში პლაგიატის) ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 40%-ზე მეტი თანხვედრის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, ნაშრომი შეფასდება, როგორც „არადამაკმაყოფილებელი“

(insufficient). (31.07.2020, №05-01/02)

11. სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შედეგად ამზადებს დასკვნას არაუგვიანეს მე-18 სასწავლო კვირისა და წინასწარ განხილვისთვის (აპრობაციისთვის) წარადგენს დარგობრივ დეპარტამენტში. დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილებით, განისაზღვრება ნაშრომის რეცენზენტი, რომელიც ნაშრომის წარდგენიდან ორი კვირის განმავლობაში წარმოადგენს წერილობით დასკვნას. (31.07.2020, №05-01/02)

12. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი დასრულებული სახით და ხელმძღვანელის ხელმოწერით დადასტურებული წარმოდგენილი უნდა იყოს დეკანატში დაცვამდე არაუგვიანეს 10 დღისა. (31.07.2020, №05-01/02)

### **მუხლი 5. პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები**

1. სასწავლო პროცესში სტუდენტის მხრიდან პლაგიატის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი (აკადემიური/მოწვეული) უფლებამოსილია მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. (31.07.2020, №05-01/02)

2. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ეტაპზე ნაშრომი არ უნდა იქნეს დაშვებული საჯარო დაცვაზე და შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს ფაკულტეტის დეკანს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვის მიზნით. რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასების ეტაპზე პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში ამის შესახებ უნდა მიეთითოს რეცენზენტის დასკვნაში და წარედგინოს დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის.

3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ უნდა გატარდეს წინამდებარე წესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ზომები. (31.07.2020, №05-01/02)

4. აკადემიური პერსონალთან მიმართებით პლაგიატის ეჭვის არსებობის შემთხვევაში საკითხი განხილულ უნდა იქნეს კონფიდენციალურად და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიადგეს პერსონალის პრესტიჟს.

5. იმ შემთხვევაში თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აამოქმედებს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს პირის რეპუტაციის აღსადგენად.

6. აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევაში, რექტორის წარდგინებით და აკადემიური საბჭოს დადგენილებით იქმნება აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც საქმიანობას წარმართავს ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

7. პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენება წინამდებარე წესითა და ეთიკის

კოდექსით გათვალისწინებული ზომები. (31.07.2020, №05-01/02)

**მუხლი 6. სანქციები პლაგიატის გამოვლინებებზე (31.07.2020, №05-01/02)**

1. დარღვევის კატეგორიის განსაზღვრის შემთხვევაში უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები (სანქციები):

ა) სტუდენტის მიმართ:

1. ნაკლებად მძიმე (მსუბუქი) დარღვევის შემთხვევაში:

ა) უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევს განემარტება დარღვევის არსი, მიეთითება დარღვევის გამოსწორების შესახებ და განესაზღვრება ვადა გამოსწორებისათვის. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გასწორებული, რედაქტირებული ნაშრომის არწარმოდგენის შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება „0 ქულით“.

2. საშუალო სიმძიმის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევი შეფასდება „0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა), განემარტება დარღვევის არსი და ამავედროულად ეცნობება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და ეთიკის კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური სახდელი - შენიშვნა ან გაფრთხილება.

3. მძიმე (უხეში) დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის (საგნის ლექტორი/პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა) მიერ დამრღვევი შეფასდება „0“ ქულით (არ შეფასდება ნაშრომი/არ დაიწერება დასკვნა), განემარტება დარღვევის არსი და ამავედროულად ეცნობება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და ეთიკის კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის დასკვნის საფუძველზე სტუდენტს შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - მხოლოდ ბხსუ-ს რექტორის ბრძანებით.

ბ) პერსონალის მიმართ:

1. ნაკლებად მძიმე (მსუბუქი) დარღვევის შემთხვევაში:

ა) სასწავლო კურსის წარმმართველს/სამეცნიერო ხელმძღვანელს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება სტუდენტის ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის დაფარვის (გაუმჟღავნებლობის) შემთხვევაში;

ბ) ეძლევა წერილობითი გაფრთხილება.

2. საშუალო სიმძიმის დარღვევის შემთხვევაში: შეეფარდება დისციპლინური სახდელი - შენიშვნა.

3. მძიმე (უხეში) დარღვევის შემთხვევაში: შეეფარდება დისციპლინური სახდელი - საყვედური.

2. დისციპლინური სახდელის სახის განსაზღვრის დროს უფლებამოსილმა პირმა/კომისიამ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, სიმძიმე, დამრღვევის შრომითი საქმიანობა და დამდგარი ზიანი.

3. წინამდებარე მუხლში აღნიშნულ დარღვევაზე რეაგირების ნებისმიერ ღონისძიებასთან ერთად, უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ბარათისსაფუძველზე, შესაძლებელია დადგინდეს დამრღვევისათვის აკადემიურ

საქმისწარმოებასთან (აკადემიური ეთიკის სტანდარტებთან) დაკავშირებით ინსტრუქციის/კონსულტაციების ჩატარების საჭიროება, ხოლო შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია ხელი შეუწყოს მის აღსრულებას.